ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნანული აბუაშვილი

ლეიკოპენიის ექსპერიმენტულ მოდელზე ბერძნული კაკლის უღლების ექსტრაქტით თეთრი თაგვების სისხლის მორფო-ფუნქციური მახასიათებლების კორექციის უნარის შესწავლა

სამაგისტრო პროგრამა „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“

გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიოლოგიის დეპარტამენტის, მორფოლოგიისა და ბიოქიმიის მიმართულებებზე

ხელმძღვანელები: პროფ. დიანა ძიძიგური

ბიოლოგიის მეც. დოქტორი,

პროფ. ნანა კოშორიძე

ბიოლოგიის მეც. დოქტორი,

თბილისი, 2019 წ.

სარჩევი

ანოტაცია ---------- 3

შესავალი ---------- 4

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. სისხლის შემადგენლობა და ფუნქციები ---------- 6

1.2. ლეიკოპენია მისი გამომწვევი მიზეზები და მკურნალობის ხერხები---- 6

1.3. ლეიკოციტების ზოგადი დახასიათება, წარმოქმნა და მომწიფება -------- 8

1.4 ბერძნული კაკლის ქიმიური შემადგენლობა და სამკურნალო თვისებები -9

1.5 პრო და ანტიოქსიდანტური სისტემის ზოგიერთი მახასიათებლები ------ 11

1.5.1 აზოტის ოქსიდი ----------13

1.5.2 კატალაზა ----------16

2. მასალა და მეთოდები

2.1. კვლევის ობიექტი და ჯგუფები ----------18

2.2 კაკლის უღლების ექსტრაქტიან ფხვნილის დამზადება----------18

2.3 ლეიკოპენიის ექსპერიმენტული მოდელის შემუშავება----------18

2.4 კაკლის უღლების ექსტრაქტის მომზადება ----------18

2.5 პერიფერიულ სისხლში ლეიკოციტების საერთო რაოდენობის განსაზღვრა---19

2.6 NO რაოდენობის განსაზღვრა----------19

2.7 კატალაზას აქტივობის განსაზღვრა ----------19

3. კვლევის შედეგები და განხილვა

3.1. თეთრ თაგვების პერიფერიულ სისხლში ლეიკოციტების რაოდენობის ცვლილებაზე ბერ ძნული კაკლის უღლების წყლიან ექსტრაქტის მოქმედების შესწავლა ----------21

3.2. ლეიკოპენიის პირობებში თეთრი თაგვების სისხლში კატალაზას აქტიურობაზე კაკლის უღლების ექსტრაქტის ზეგავლენის შესწავლა.----------24

3.3 ბერძნული კაკლის უღლების ექსრტრაქტის ზეგავლენა თეთრი თაგვების სისხლში NO-ს რაოდენობაზე ლეიკოპენიის პირობებში. ----------26

დასკვნები ----------28

გამოყენებული ლიტერატურა----------29

ანოტაცია

თეთრ თაგვებში ციკლოფოსფანის ერთჯერადი ინექციით გამოწვეული ლეიკოპენიის ექსპერიმენტულ მოდელზე ჩატარებულია პერიფერიულ სისხლში ლეიკოციტების განახლებაზე ბერძნული კაკლის უღლების წყლიანი ექსტრაქტის ორგანიზმში სხვადასხვა გზით შეყვანის ეფექტურობის შედარებითი შესწავლა. ასევე შესწავლილია ანტიოქსიდანტური სისტემის და პროოქსიდაციური პროცესების ზოგიერთი მახასიათებლის(NO და კატალაზა) ცვლილებებზე კაკლის უღლების ექსტრაქტის მოქმედება. გამოკვლევებით დადგენილ იქნა, რომ კაკლის უღლების ექსტრაქტით მიელოპოეზის სუპრესიის კორექცია მიიღწევა მხოლოდ მისი ორგანიზმში პერორალური გზით შეყვანის შემთხვევაში. გამოვლინდა ასევე, რომ ციკლოფოსფანის ერთჯერადი ინექციის საპასუხოდ კაკლის უღლების ექსტრაქტს გააჩნია ფერმენტ კატალაზას აქტიურობის ცვლილებების და ანტიოქსიდანტური სისტემის კორექციის უნარი. ბერძნული კაკლის უღლების ექსტრაქტს ახასიათებს NO-ს რაოდენობრივი ცვლილებების და შესაბამისად, გაძლიერებული ოქსიდაციური პროცესების კორექციის უნარი.

Nanuli Abuashvili

Suummary

The study of improvement of white mouse blood morphofunctional parameters by treatment with juglans regia septa extract in the experimental model of leukopenia

Annotation

The study of Juglans regia water extract effect on leukocyte count in peripheral blood has been performed on leukopenia experimental model obtained by single injection of cyclophosphan in nonlinear mice. Different ways of administration were used. We also studied the effect of walnut extract on some parameters (NO, catalase) of antioxidant system and prooxydative processes. It has been established, that the correction of myelopoiesis suppression can be achieved only by taking the walnut water extract perorally. It also has been shown, that in response to single injection of cyclophosphan the walnut extract can change the activity of catalase and correct the antioxidant activity. The extract of Juglans regia also causes the quantitative changes of NO and thus, corrects the enhanced oxidative processes.

შესავალი

ლეიკოპენია, როგორც პათოლოგიური პროცესი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სისხლში ლეიკოციტების რაოდენობის დაქვეითება, შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით. ის აუცილებლად ვლინდება, მაგალითად, სიმსივნით დაავადებულ პაციენტებში სხივური და/ან ქიმიოთერაპიის შემდეგ როგორც სიცოცხლისთვის საშიში ძირითადი გართულება, რაც დაკავშირებულია ორგანიზმის იმუნური პასუხის დაქვეითებასთან(1,2,3). აქედან გამომდინარე, დღემდე აქტუალურია იმუნოკორექციის უნარის მქონე ბუნებრივი, მათ შორის, მცენარეული წარმოშობის ნაერთების ძიება. განსაკუთრები დიდია ინტერესი ბერძნული კაკლის მიმართ. ასე მაგალითად, აღნიშნული მცენარის ფოთლებიდან და სხვა ნაწილებიდან მიღებული პრეპარატები გამოიყენება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. არანაკლებ საინტერესოა ხალხური მედიცინის მიღწევები, რომელთა თანახმად, სამკურნალო ეფექტები გააჩნია ასევე კაკლის უღელს. სხვადასხვა გზით დამზადებული კაკლის უღლების ექსტრაქტების დადებითი ეფექტები აღწერილია დაავადებათა ფართო სპექტრისთვის . თეთრი ზრდასრული თაგვების ლეიკოპენიის ექსპერიმენტულ მოდელზე ნაჩვენებია, რომ ბერძნული კაკლის უღლების ექსტრაქტს გააჩნია მიელოპოეზის სუპრესიის კორექციის უნარი ციკლოფოსფანის ერთი- და ორჯერადი ინექციის შემდეგ. კერძოდ, ნაჩვენები იქნა, რომ კაკლის უღლების წყლიანი ექსტრაქტის დადებითი ექსტრაქტი აჩქარებს სხვადსხვა რიგის უჯრედების არამხოლოდ დიფერენცირების პროცესს, არამედ გააჩნია ბლასტური ფორმების გაყოფს სტიმულაციის უნარიც(4) .

ციტოტოქსიკური პრეპარატების ზემოქმედებით ძვლის ტვინში არამხოლოდ წინამორბედი უჯრედების დაღუპვის, არამედ მათი დაყოფის შესაძლო შეფერხების გამო, აღარ ხდება იმუნოკომპეტენტური უჯრედების რიცხოვნობის ფიზიოლოგიური განახლება და შენარჩუნება. შესაბამისად, ადგილი აქვს იმუნიტეტის აღდგენის უნარის დაქვეითებას, რაც ხელს უწყობს ინფექციური დაავადებების განვითარებას და რის შემდეგაც ვლინდება ლეიკოპენიის სიმპტომები. ქიმიოთერაპიის შემდეგ განვითარებული ლეიკოპენიის დროს ყველა სისხლმბადი ორგანოების დაზიანების გამო სისხლში მცირდება არამხოლოდ ლეიკოციტების, არამედ თრომბოციტების და ერითროციტების რაოდენობაც. ცნობილია, რომ უჯრედის დაზიანების შედეგად პათოლოგიური პროცესების ერთ-ერთი მახასიათებელია თავისუფალი რადიკალების გენერაცია. უჯრედებში მათი სიჭარბე ინიცირებს ლიპიდების ზეჟანგურ ჟანგვით პროცესებს,

რომელიც თავის მხრივ მემბრანის, ცილების და დნმ-ს სერიოზულ დაზიანებას იწვევს. ევოლუციის პროცესში ლიპიდებისზეჟანგვითი პროცესების თავიდან აცილების მიზნით ცოცხალი ორგანიზმების უჯრედებში ჩამოყალიბდა დაცვის მრავალკომპონენტიანი სისტემა- ენდოგენური ანტიოქსიდანტური სისტემა, რომლის ბიოლოგიური როლი მდგომარეობს აქტიური ჟანგვითი მეტაბოლიტების შემცირებაში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სამუშაოს მიზანი იყო თეთრი თაგვების სისხლში ანტიოქსინდატური და პროოქსიდაციური სისტემების ზოგიერთი მახასიათებლის ცვლილებაზე კაკლის უღლების ექსტრაქტის მაკორეგირებელი მოქმედების უნარის გამოკვლევა ციკლოფოსფანის ერთჯერადი ინექციის შემდეგ.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. სისხლის შემადგენლობა და ფუნქციები

სისხლი მეზენქიმური წარმოშობის, შინაგანი არის შემაერებელი ქსოვილია, რომელიც შედგება პლაზმისა და ფორმიანი ელემენტებისაგან. ფორმიან ელემენტებს მიეკუთვნება ერითროციტები, ლეიკოციტები და თრომბოციტები. სისხლის პლაზმისა და უჯრედების მოცულობის თანაფარდობა დაახლოებით არის 60/40. ფორმიანი ელემენტების მოცულობის შეფარდებას სისხლის საერთო მოცულობასთან ჰემატოკრიტი ეწოდება და დაახლოებით 40 %-ს შეადგენს. სისხლის ფუნქციებია: 1. ტროფიკული - საკვები ნივთიერებების ტრანსპორტი; 2. სასუნთქი -ქსოვილების მომარაგება ჟანგბადით, ნახშირმჟავას და სხვა ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების გამოყოფა; 3. დამცველობითი - ანტისხეულების გამომუშავება, ფაგოციტოზი; 4. ჰუმორული - ჰორმონების ტრანსპორტი; 5. თერმორეგულაცია; 6. ჰომეოსტაზი - ორგანიზმის შინაგანი გარემოს შედგენილობისა და ფიზიკური მახასიათებლების მუდმივობის დაცვა (5). სისხლის პლაზმა თხევადი უჯრედშორისი ნივთიერებაა, რომელიც შეიცავს 90-93% წყალს და 7-10% ორგანულ და არაორგანულ ნივთიერებას. ორგანული ნივთიერებებიდან 6% ეკუთვნის ცილებს. პლაზმაში წარმოდგენილია სამი სახის ცილა: ალბუმინები - სატრანსპორტო ცილები; გლობულინები - იმუნური პასუხის ცილები და ცილები რომლებიც მონაწილეობენ სისხლის შედედებაში (მაგ: ფიბრინოგენი). პლაზმის ცილების სინთეზი, იმუნოგლობულინის გარდა, ხდება ღვიძლში. მათი რაოდენობა და შედგენილობა სისხლში მუდმივია. სისხლის შედედებაში ასევე მონაწილეობენ თრომბოციტები. სისხლძარღვის დაზიანების შემთხვევაში გამოყოფენ თრომბოციტურ ფაქტორ-3-ს, რომელიც ფიბრინოგენის ფიბრინად გარდაქმნით კოლტის წარმოქმნას იწვევს (6).

1.2 ლეიკოპენია მისი გამომწვევი მიზეზები და მკურნალობის ხერხები

ლეიკოპენია არის სისხლში თეთრი უჯრედების - ლეიკოციტების ნაკლებობა, განსაკუთრებით კი გრანულოციტების. არსებობს თანდაყოლილი, ანუ გენეტიკურად განპირობებული და ასევე შეძენილი ლეიკოპენია. ტერმინები ლეიკოპენია და ნეიტროპენია ხშირად იხმარება, როგორც თანამონაცვლე ტერმინები. უჯრედთა რაოდენობრივი კლება შეიძლება განპირობებული იყოს ორი მიზეზით: 1. ლეიკოციტები იღუპებიან ნორმაზე უფრო სწრაფად და 2. შემცირებულია მათი წარმოქმნის ინტენსივობა ძვლის ტვინში.

ამასთან, შეიძლება, რომ ეს ორივე მიზეზი ერთდროულად არსებობდეს. ლეიკოპენია შეიძლება გამოიწვიოს ვირუსულმა ინფექციებმა , რის გამოც შენელებულია ძვლის ტვინში უჯრედების წარმქმნის ფუნქცია. ყველაზე უფრო ხშირად ლეიკოპენიის მიზეზებია: ინფექციები, ციტოტოქსიკური პრეპარატები, ჰიპერსპლენიზმი და მეგალობლასტოზი. ლეიკოპენიის მთავარი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ ამ დროს იზრდება ინფექციური დაავადებების განვითარების რისკი. ლეიკოპენიის მენეჯმენტი მოიცავს გამომწვევი მიზეზის იდენტიფიკაციას და ეფექტურ ანტიმიკრობულ თერაპიას, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე გვაქვს სერიოზულ სისტემურ ინფექციასთან (7). ლეიკოპენიის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ავტოიმუნური დაავადება, სხვადასხვა ქიმიური პრეპარატები (ქიმიოთერაპია და სხივური თერაპია), ასევე იმ ვიტამინების დეფიციტი, რომლებიც საჭიროა ძვლის ტვინის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. კლინიკურად ყველაზე უფრო ხშირად ლეიკოპენიას იწვევენ პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ: ფენოთიაზინს, შარდმდენ საშუალებებს (დიურეტიკებს), ანტითიროიდულ აგენტებს და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს. განსაკუთრებით უნდა ავღნიშნოთ ქიმიოთერაპიული პრეპარატები, რომლებიც პირდაპირ აზიანებენ ღეროვან უჯრედებს ძვლის ტვინში, ბლოკავენ დნმ-ის რეპლიკაციას და ანელებენ უჯრედთა გაყოფას, აფერხებენ პურინებისა და პირომიდინების მეტაბოლიზმს, ანადგურებენ მიტოზური თითისტარას ძაფების მიკროტუბულებს, ხელს უშლიან რნმ-ის ფორმირებას და აფერხებენ ტრანსკრიფციისა და ტრანსლაციის პროცესებს. ქიმიოთერაპიის შემდეგ, ლეიკოპენიის განვითარებამდე აღინიშნება დაყოვნების პერიოდი. ამ პერიოდის სიგრძე დამოკიდებულია ძვლის ტვინში ნეიტროფილების მარაგზე და საშუალოდ რვიდან თოთხმეტ დღემდე მერყეობს (8). ლეიკოპენიას იწვევს ასევე სხვადასხვა ფსიქოტროპული პრეპარატები. კლოზაპინისა და კარბამაზეპინის მიღების პარალელურად აუცილებელია სისხლში უჯრედების რაოდენობის კონტროლი (9) .ლეიკოპენიის მიზეზი შეიძლება ასევე იყოს ლეიკემია ანუ ძვლის ტვინის სიმსივნე და ელენთის ჰიპერფუნქცია - როცა ელენთა იწყებს სისხლის უჯრედების დროზე ადრე განადგურებას. თანდაყოლილი გენეტიკური დარღვევებიდან აღსანიშნავია, მაგალითად კოსტმანის სინდრომი, რომელიც ვლინდება ახალშობილებში და დაკავშირებულია ნეიტროპენიასთან ანუ ნეიტროფილების არასაკმარის რაოდენობასთან. ლეიკოპენიის ფუნქციური კლასიფიკაციისას განსაკუთრებით აღსანიშნავია კომბინირებული გრანულოციტოპენია. მისი საუკეთესო მაგალითია მწვავე ლეიკოპენია სეფსისთან ერთად. ამ დროს გრანულოციტოპოეზი შეზღუდულია და სეფსისი კი ხელს უწყობს პერიფერიული გრანულოციტების განადგურებას (8).

ლეიკოპენიის სამკურნალოდ აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა პრეპარატები, მაგალითად გლუკოკორტიკოიდები და ციტოსტატიკური იმუნოდეპრესანტები, მაგრამ ფიქსირდება მათი ძალიან ბევრი უკუჩვენება. პაციენტებს, რომლებიც იღებენ ამ პრეპარატებს, აღენიშნებათ ტემპერატურის მომატება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემები და ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა. შესაბამისად, დღეისათვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცენარეული წარმოშობის პრეპარატებს, რადგან მათ პრაქტიკულად არ გააჩნიათ უკუჩვენებები. მაგალითად, იოდდეფიციტიან ბავშვებს, რომლებსაც აღენიშნებათ ლეიკოპენია, უნიშნავენ პრეპარატ იოდოზირს. ეს პრეპარატი წყალმცენარისგან მზადდება და გარდა იმისა რომ მაღლა სწევს ჰემოგლობინის დონეს, ასევე არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები (10,11,12). აღსანიშნავია კიდევ ერთი პრეპარატი, პარაგონი, რომელიც შეიცავს მიხაკისა და კაკლის ქერქის ექსტრაქტს. პარაგონი გამოიყენება პარაზიტების წინააღმდეგ და ასევე ახასიათებს ლეიკოციტარული ფორმულის დარეგულირების უნარი (13). მცენარეებისგან დამზადებულ პრეპარატებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს იუგორს, რომელიც შეიცავს ბერძნული კაკლის როგორც ქერქიდან, ისე ფოთლებიდან მიღებულ 9 სახის ექსტრაქტს. ნაჩვენებია, რომ იუგორს აქვს ანტიჰელმინითური, ბაქტერიოციდული, შაქრის დამწევი თვისებები და ამასთანავე გამოიყენება ლეიკოპენიის სამკურნალოდ (11).

1.3. ლეიკოციტების ზოგადი დახასიათება, წარმოქმნა და მომწიფება

ციტოპლაზმური გრანულებისა და ბირთვის მორფოლოგიის მიხედვით ლეიკოციტები იყოფიან 2 ტიპად: გრანულოციტები (ნეიტროფილები, ეოზინოფილები და ბაზოფილები) და აგრანულოციტები (მონოციტები და ლიმფოციტები). გრანულოციტებში გვხვდება 2 ტიპის გრანულები: ლიზოსომური ანუ აზუროფილური და სპეციფიკური, რომლებიც იღებებიან ნეიტრალური, ფუძე და მჟავე საღებავებით. მათი ბირთვი პოლიმორფული და დანაწევრებულია. რაც შეეხება აგრანულოციტებს, მათი ბირთვი სფეროსებურია და ციტოპლაზმა შეიცავს აზუროფილურ გრანულებს. ამ უჯრედების სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. მაგალითად, ნეიტროფილების სიცოცხლის ხანგრძლივობაა 4 დღე, ეოზინოფილების 1-2 კვირა, ბაზოფილებისა კი რამდენიმე თვეა. აგრანულოციტებმა შეიძლება იცოცხლონ როგორც რამდენიმე საათი, ისე რამდენიმე წელიც კი. გრანულოციტებში გოლჯის კომპლექსი და ენდოპლაზმური ბადე სუსტად არის განვითარებული, მცირეა მიტოქონდრიების რაოდენობაც. ისინი ჩვეულებრსამებრ იღუპებიან შემაერთებელ ქსოვილში. ყოველ დღე

მოზრდილ ადამიანში აპოპტოზის გზით მილიარდობით ნეიტროფილი იღუპება. აგრანულოციტები არ შეიცავენ სპეციფიკურ გრანულებს, მაგრამ შეიცავენ აზუროფილურ გრანულებს (ლიზოსომებს). ბირთვი არის სფერული ან დაკბილული, მაგრამ არა დანაწევრებული.

ლეიკოციტთა ჰემოპოეზი ძვლის ტვინში არსებული პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედებიდან იწყება. ვითარდება 2 მთავარი ხაზი: მიელოიდური, რომლისგანაც წარმოიქმნება ერითროციტები, თრომბოციტები და ლეიკოციტები და ლიმფოიდური, რომლისგანაც მხოლოდ T და B ლიმფოციტები წარმოიქმნება. ლეიკოპოეზის დროს, მიელოიდური ღეროვანი უჯრედიდან პროგენიტორული უჯრედი წარმოიქმნება, რომელისგანაც შემდგომში მიელობლასტი და მონობლასტი ვითარდება. მონობლასტიდან პრომონოციტი და შემდეგ მონოციტი მიიღება. მიელობლასტისგან კი პრომიელოციტი წარმოიქმნება. პრომიელოციტისგან კი მიიღება მიელოციტები. ამ ეტაპზე უჯრედთა მიტოზური აქტიობა ჩერდება და იწყება მომწიფების სტადია. მიელოციტებისგან მეტამიელოციტები წარმოიქმნება, რომლებისგანაც საბოლოოდ ნეიტროფილები, ეოზინოფილები და ბაზოფილები მიიღება. მომწიფებული უჯრედები ჯერ ძვლის ტვინში არსებულ ე.წ. საწყობში გადადიან და შემდეგ უკვე კაპილარების მეშვეობით ერთვებიან ცირკულაციაში. რაც შეეხება T და B ლიმფოციტებს, მათი წარმოქმნის წყაროა თიმუსი და ძვლის ტვინი. აქ ლიმფობლასტის 2 ან 3 ჯერ გაყოფის შემდეგ ლიმფოციტი მიიღება, რომელიც ერთვება ცირკულაციაში და მიგრირებს პერიფერიული ლიმფური ორგანოებისკენ (14).

1.4 ბერძნული კაკლის ქიმიური შემადგენლობა და სამკურნალო თვისებები

ბერძნული კაკალი (Juglans regia) მერქნიანი მცენარეა და სიმაღლით დაახლოებით 20 მეტრამდე იზრდება. ყვავილობს ივნისში, ხოლო ნაყოფი მწიფდება ოქტომბერში. ყვავილები არის ერთსქესიანი და იმტვერება ქარის მეშვეობით. თითოეული ყვავილი არის მამრობითი ან მდედრობითი სქესის, მაგრამ ორივე სქესის ყვავილები შეიძლება იყოს ერთსა და იმავე მცენარეში. იგი ზომიერად სითბოს მოყვარული ხემცენარეა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ვრცელდება ზღვის დონიდან 1600–1700 მ.–მდე. უძლებს დაახლოვებით 20-22 გრადუს ყინვას. ჩვენთან ველური კაკლის ყველაზე დიდი კორომია მდინარე ალაზნის ნაპირებზე, პანკისი ხეობაში და ჯუმას ყურეში. კაკალის სამშობლოდ ირანი და შუა აზიის ქვეყნები ითვლება. ის მოხსენებულია ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ. VI-IV საუკუნეებში, როგორც „სიცოცხლის ხე“, „სამეფო რკო“, „ღვთიური რკო“. ისტორიული წყაროებით, იგი

საქართველოში ანტიკურ პერიოდშია შემოტანილი და ჩვენი აგროკულტურის განუყოფელი ნაწილია. ცნობილია, რომ ბერძნული კაკალი მდიდარია სხვადასხვა ნივთიერებებით. მაგალითად, მისი ნაყოფი შეიცავს: ცხიმებს (45-77%) , ცილებს (8-21%), B1 ვიტამინსა და A პროვიტამინს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ფოთლები და სხვა ნაწილები მდიდარია 2 ძირითადი ნაერთით: იუგლონით და მთრთიმლავი ნივთიერებებით. (15,16,17)

მწიფე ნაყოფი არის საკვები და გამოიყენება საკონდიტრო ნაწარმის, ნამცხვრების დასამზადებლად. დაფქული ნაყოფი გამოიყენება როგორც არომატიზატორი ტკბილი და ცხარე კერძების მომზადებისას. მისგან ასევე იღებენ საკვებ ზეთს, რომელიც გამოირჩევა სასიამოვნო სურნელით და გამოიყენება კულინარიაში სხვადასხვა სალათების მომზადებისას. თუმცა ეს ზეთი მალფუჭებადია და არ შეიძლება მისი დიდხანს შენახვა. საკვებად გამოიყენება ასევე კაკლის ნაჭუჭი და ფოთლები. დაფქული ნაჭუჭი არის ერთ-ერთი მთავარი ინგრედიენტი „აგნოლოტის“ მაკარონის კერძის, ფოთლებისგან კი ჩაისაც აკეთებენ. (18,19) Juglans regia-ს აქტიურად გამოიყენებენ ხალხურ მედიცინაში. მას აქვს ანტიმიკრობული, ანტიჰელმინიური და ანტიდიარიული თვისებები.(20,21) თურქულ ხალხურ მედიცინაში ახალი ფოთლები გამოიყენებოდა სხვადასხვა სახით. მას იდებდნენ შიშველ სხეულზე სიცხის დასაწევად და ასევე იდებდნენ დასიებულ სახსარზე ტკივილის შესამსუბუქებლად.(22,23). ირანულ მედიცინაში კაკლის გულს იყენებდნენ კუჭ-ნაწლავის ანთების სამკურნალოდ.(24) პალესტინაში კი ის გამოიყენებოდა დიაბეტის, ასთმისა და სისხლძარღვების დაავადების წინააღმდეგ.(25,26).

კაკლის ფოთლებისა და ნაყოფისგან დამზადებულ წყლიან ექსტრაქტს აქვს ანტიბაქტერიული და ანტივირუსული თვისებები. ნაჭუჭის წყლიანი და სპირტული ექსტრაქტი გამოირჩევა ანტიოქსიდანტური თვისებებით. ნაჩვენებია, რომ კაკალში შემავალ პოლიფენოლურ ნაერთებს აქვთ ანტი დიაბეტური მოქმედების უნარი. ფოთლებისგან დამზადებული საკვების მოხმარებამ თაგვებში, რომელთაც ჰქონდათ ალოქსანით ინდუცირებული დიაბეტი, მნიშვნელოვნად შეამცირა სისხლში შაქრის რაოდენობა. პანკრეასის ჰისტომორფოლოგიურმა გამოკვლევამ კი აჩვენა, რომ შეინიშნება B-უჯრედების რეგენერაცია. ფოთლების მეთანოლიანმა ექსტრაქტმა კი დასწია სისხლში გლუკოზის დონე. (27,28)

Juglans regia-ს ძირითადი კომპონენტია იუგლონი, რომელსაც ანტისიმსივნური მოქმედება ახასიათებს. ნაჩვენებია, რომ იუგლონს ახდენს თაგვებში კუჭ-ნაწლავის

კარცენოგენეზის ინჰიბირებას, რომელიც გამოწვეულია აზოქსიმეთანით. დამტკიცებულია, რომ იუგლონი არის პოტენციური ციტოტოქსიური აგენტი in vitro გარემოში, ადამიანის სიმსივნის წინააღმდეგ, მათ შორის აღსანიშნავია მსხვილი ნაწლავის სიმსივნე (HCT-15), ლეიკემია(HL-60), დოქსორუბიცინ-რეზისტენტული ლეიკემია(HL-60R). (29,30). ახლახან ჩატარებული კვლევების თანახმად, in vivo გარემოში, იუგლონი ახდენს ზრდის ინჰიბირებას და აპოპტოზის ინდუცირებას სარკომაში და 180 SGC-7901 უჯრედებში.(31). ფოთლებისა და ნაჭუჭის ექსტრაქტი კი მოქმედებს როგორც ზრდის ინჰიბიტორი თირკმლის სიმსივნის დროს A-498 და 769-P უჯრედულ ხაზებში. აღანიშნავია რომ ამ უჯრედულ ხაზებზე განსაკუთრებული ანტიპროლიფერაციული ეფექტებით გამოირჩევა კაკლის ფოთლების ექსტრაქტი, მაგალითად ნაჭუჭის ექსტრაქტთან შედარებით(32).

1.5. პრო და ანტიოქსიდანტური სისტემის ზოგიერთი მახასიათებლები

ცნობილია, რომ ნებისმიერი სტრესის შედეგად ცოცხალი ორგანიზმის უჯრედში იწყება საპასუხო რეაქციები, კერძოდ თავისუფალ-რადიკალური ჟანგვა, უჯრედშიდა კალციუმის რაოდენობრივი ცვლილებები, ენერგეტიკული მეტაბოლიზმის დაქვეითება და სხვა. საბოლოოდ მთავრდება მთელი რიგი პათოლოგიების ჩამოყალიბებით (33). უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ფაქტორების გავლენის შესწავლას გულ-სისხლძარღვთა სხვადასხვა ტიპის დაავადებების ფორმირების პროცესში (34). უჯრედში გამუდმებით მიმდინარეობს ჟანგვა-აღდგენითი რეაქციები, რომელიც საფუძვლად უდევს ქიმიური ენერგიის წარმოქმნას, რთული ციკლური აღნაგობის მქონე ნივთიერებების ბიოსინთეზსა და მათ დეგრადაციას. ყოველ უჯრედს გააჩნია თავისი რედოქს-სტატუსი, რომელიც დამოკიდებულია ჟანგვითი და აღდგენითი რეაქციების ინტენსივობაზე (35). ის ძირითადი ნივთიერებები, რომლებიც განსაზღვრავენ უჯრედის ჟანგვა-აღდგენით სტატუს შემდეგია: გლუტათიონი, NADH2, და NADPH2. უჯრედში ჟანგვითი პოტენციალის მატებასა და მისი ჰომეოსტაზის გადანაცვლებას ჟანგვითი პროცესებისკენ, ოქსიდაციური სტრესი ეწოდება. დამჟანგავ და აღმდგენელ სისტემებში ბალანსის დარღვევა შეიძლება განპირობებული იქნას ჟანგბადის აქტიური ფორმების (ROS) ინტენსიური წარმოქმნით ან ანტიოქსიდანტური სისტემების დეფიციტით. სხვადასხვა ტიპის ეგზოგენურმა სტრესმა შესაძლებელია უჯრედში ოქსიდაციური სტრესი გამოიწვიოს. ჟანგბადის მოხმარების მატება ასევე იწვევს დიდი რაოდენობით ზეჟანგური პროდუქტების წარმოქმნას. სხვადასხვა ქსენობიოტიკებმაც, განსაკუთრებით ანტიბიოტიკებმა, ციტოქრომ P450-ის გააქტივების შედეგად შეიძლება ოქსიდაციური

სტრესი წარმოქმნას (36). იმ შემთხვევაში, როდესაც ოქსიდაციური სტრესი უჯრედის სასიცოცხლო ფუნქციებზე მოქმედებს, მაგალითად იწვევს ცვლილებებს დნმ-ის მოლეკულაში, იგი შეუქცევადი და უჯრედისათვის ლეტალური ხდება. თუ ოქსიდაციური სტრესი ხანოკლეა, მაშინ ის შექცევად ხასიათს ატარებს. ამიტომ ანტიოქსიდანტური სისტემების აქტივობის ხანგრძლივი დაქვეითება ან ქრონიკული ანთებითი პროცესები უჯრედის დაღუპვის მიზეზი ხდება. ოქიდაციური სტრესის ინიცირებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ჟანგბადის აქტიურ ფორმებს (ROS), რომელთა ბიოლოგიური ეფექტი, კონცენტრაციის შესაბამისად, შეიძლება იყოს რეგულატორული ან ტოქსიური. ROS მოიცავს, როგორც თავისუფალ რადიკალებს (O2 - ,OH-) ასევე არარადიკალურ ფორმებს (მაგ.H2O2,) (37). ჟანგბადის აქტიური ფორმების წარმოქმნის ძირითად წყაროს უჯრედებში წარმოადგენს მიტოქონდრიები. ROS-ების რაოდენობა მატულობს ჟანგბადის გაძლიერებული მოწოდების ან მიტოქონდრიების სუნთვის ჯაჭვის მუშაობის დარღვევის შედეგად. მათი წარმოქმნის მიზეზი ასევე ხდება ენდოპლაზმურ რეტიკულუმში, პეროქსისომებსა და პლაზმურ მემბრანაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი (38). ფიზიოლოგიურ პირობებში ROS-ს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი ჩართული არიან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წარმოქმნასა და ბაქტერიებისა და ვირუსების გაუვნებელყოფის პროცესში, ასევე ნივთიერებათა ცვლაში და სხვა მნიშვნელოვან პროცესებში. მცენარეულ და ცხოვლურ უჯრედში დაბალ და საშუალო კონცენტრაციის პირობებში ასრულებენ მეორადი მესენჯერის როლს (39-41). ROS-ინდუცირებული დნმ-ს ჟანგვითი პროცესები ყველაზე ხშრად იწვევს მუტაციების წარმოქმნას, რაც თავის მხრივ განაპირობებს გენომურ არასტაბილურობას და პირდაპირ უწყობს ხელს კანცეროგენეზის განვითარებას (42). ლიტერატურიდან ცნობილია ROS-ის როლი აპოპტოზისა და ნეკროზის განვითარებაში. იგი აქტიურად მონაწილეობს ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროცესში და ცვლის მემბრანის განვლადობას, რასაც საბოლოოდ მივყავართ ამ უკანასკნელის სტრუქტურულ რღვევამდე (43,44). როგორც უკვე ავღნიშნეთ, ჭარბი რაოდენობით ჟანგბადის აქტიური ფორმები (ROS) აინიცირებს ოქსიდაციური სტრესის განვითრებას, რომელიც მთავარ როლს ასრულებს დაბერების, ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადების, მისი სარქველების დაზიანების, გულის უკმარისობის და სხვა დაავადებების პათოგენეზში. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჟანგბადის აქტიური ფორმების ჭარბმა კონცენტრაციამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს უშუალოდ ანტიოქსიდანტური სისტემის ფერმენტების ნორმალურ ფუნქციონირებაზე (45,46). რეაქციული ჟანგბადის გაუვნებელყოფისთვის უჯრედში ფუნქციონირებს ე.წ. ანტიოქსიდანტური სისტემა. ამ

სისტემის ფუნქციონირების შედეგად ადგილი აქვს ოქსიდაციური პროცესების შეფერხებას. ანტიოქსიდანტური სისტემის ფუნქციონირებში ჩართულია მთელი რიგი ფერმენტული და არაფერმენტული, დაბალმოლეკულური ნაერთები, რომლებსაც ანტიოქსიდანტები ეწოდება. ოქსიდაციური და ანტიოქსიდაციური რეაქციების ერთობლივობა ორგანიზმში ქმნის ერთგვარ ფუნქციურ სისტემას, რომლის მოქმედების საბოლოო მიზანია უჯრედის ჰომეოსტაზის შენარჩუნება (47,48) . უჯრედში არსებული ანტიოქსიდანტური ფერმენტები რამდენიმეა, რომლებიც ქმნიან უჯრედის დაცვის გარკვეულ რგოლს. დაცვითი სისტემის პირველი რგოლი წარმოდგენილია ფერმენტით სუპეროქსიდდისმუტაზა (SOD). სოდ-ის დახმარებით უჯრედში არსებული სუპეროქსიდ რადიკალი (O_2^-) გადადის ელექტრონეიტრალურ ფორმაში - H_2O_2, რომელიც შემდგომ ფერმენტ კატალაზას მეშვეობით შესაძლოა გარდაქმნას წყლად (H_2O) და თავისუფალ ჟანგბადად (O_2) ან გლუტატიონპეროქსიდაზას მოქმედებით წარმოქმნილი წყალბადის ზეჟანგიდან და აღდგენილი გლუტათიონიდან წარმოიქნას წყლის მოლეკულა. რეაქციის შედეგად ადგილი აქვს გლუტათიონის დაჟანგვას. გარდა აღნიშნულისა, წყალბადის ზეჟანგმა ნეიტრალური მოლეკულის სახით შეიძლება დატოვოს უჯრედი (49,50). გარდა ფერმენტული სისტემებისა, ციტოპლაზმაში არსებობს სხვადასხვა დაბალმოლეკულური ნივთიერებები, რომელთაც ასევე აქვთ ანტიოქსიდანტური თვისებები. ასეთებია ასკორბინის მჟავა, უბიქინონი, α-ტოკოფეროლი და სხვ. (51)

1.5.1 აზოტის ოქსიდი

აზოტის ოქსიდი, ქიმიური ფორმულით - NO წარმოადგენს სისხლძარღვთა ტონუსის რეგულატორს. დღეისათვის მისი მნიშვნელობა ბიოლოგიასა და მედიცინაში ეჭვს არ იწვევს. აზოტის ოქსიდი არატიპიური სასიგნალო მოლეკულაა. უჯრედის ფუნქციური პასუხი NO–ს მოქმედებაზე სხვადასხვაგვარია და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია არა მხოლოდ სამიზნე უჯრედის ფენოტიპზე, არამედ NO-ს რაოდენობაზე უჯრედში, ასევე NO-სა და გარშემო არსებული მოლეკულების ჟანგვა-აღდგენით მდგომარეობაზე (52-58).

აზოტის ოქსიდი აქტიურად მონაწილეობს მრავალ ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესში. უჯრედში NO-ს სინთეზი ამინომჟავა L-არგინინიდან ხდება და რეაქციას

ფერმენტი NO-სინთაზა (NOS) აკატალიზებს. რეაქცია მიმდინარეობს NADPH-ისა და O2-ის თანაობისას, შედეგად კი მიიღება ციტრულინი, NADP+ და NO. ცნობილია NOS-ის რამოდენიმე იზოფორმა: ნეირონული NOS (nNO-S, ტიპი I), ენდოთელური NOS (eNO-S

ტიპი III) და ინდუციბელური NOS (iNO-Sტიპი II). ეს უკანასკნელი ძირითადად ფაგოციტებში გვხვდება, თუმცა სამივე ფერმენტი თითქმის ყველა ქსოვილშია წარმოდგენილია. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ქსოვილი, რომელთაც აქვთ NO-ს წარმოქმნის უნარი სხვადასხვა ფიზიოლოგიური მდგომარეობის დროს, შეიძლება შეიცავდეს NOS-ის ერთზე მეტ ფორმას(59-62). nNOS და eNOS მუდმივად აწარმოებენ NO-ს სინთეზს სხვადასხვა სიგნალების საპასუხოდ. აღსანიშნავია მათ აქტივობაზე უჯრედშიდა კალციუმის კონცენტრაციის გავლენა, რომელიც პროცესის ეფექტორად გვევლინება. ამასთან, NO-ს სინთეზის გაზრდა შესაძლოა აღნიშნული იონისგან დამოუკიდებლადაც განხორციელდეს(63).

გარეგანი აგენტების მიერ ინიცირებული პროცესის შედეგად სეკრეტირებული აზოტის ოქსიდი წარმოადგენს თავისუფალ რადიკალს და ძლიერ ტოქსიკური ნართია. აღსანიშნავია, რომ მას შეუძლია გამოიწვიოს დნმ-ის დაზიანება და რკინა-გოგირდოვანი ცენტრების დეგრადაცია(64-69). საკუთრივ NO-ს სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირეა, თუმცა მას დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალი უჯრედული რეაქციის წარმართვისათვის. ამ რეაქციათა რიგს მიეკუთვნება: რკინა-შემცველი ფერმენტების დაჟანგვა (რიბონუკლეოტიდ-რედუქტაზა და აკონიტაზა), ხსნადი გუანილატციკლაზას აქტივაცია (სისხლძარღვების გლუვი კუნთების მოდუნება), ცილების ADP-რიბოზილირება, მათი გოგირდოვანი ჯგუფების ნიტროზილირება და რკინა-რეგულატორული ფაქტორების აქტივაცია(70).

სხვადასხვა პათოლოგიურ მდგომარეობაში NO მოქმედებს პერიფერიული სისხლის მონონუკლეარულ უჯრედებზე და ახდენს NF-kB-ს აქტივაციას, რომელიც iNOS-ის გენის ექსპრესიის გაძლიერების მოდულატორია(71). აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ აუტონომიური ნერვული სისტემის ზოგიერთი მოტორული ნეირონი NO-ს გამოყოფს, როგორც ნეირომედიატორს(72,73). თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა NO-ს, როგორც აპოპტოზის პროცესში მონაწილე მნიშვნელოვანი

მოლეკულის შესახებ(74). თუმცა, დღესდღეობით NO-ს ზუსტი როლი ორგანიზმში ჯერ-ჯერობით დაუზუსტებელია, რადგან ის ჩართულია, როგორც დადებით, ისე უარყოფით

პროცესებშიც და შესაბამისად, აზოტის ოქსიდი ერთგავარად ორმაგი მოქმედების უჯრედულ მედიატორს წარმოადგენს, რომელსაც გადამწყვეტი როლი ენიჭება

მრავალი პროცესის წარმართვაში(75). აზოტის ოქსიდის სასიგნალო ფუნქციის განსახორციელებლად მოლეკულურ სამიზნეს წარმოადგენს ხსნადი გუანილატციკლაზა. აზოტის ოქსიდი ააქტივებს გუანილატციკლაზას ჰემში შემავალი რკინის დაკავშირებით, რასაც მოსდევს უჯრედში cGMP-ს შეცველობა. სწორედ ეს უდევს საფუძვლად NO-ს მიერ განხორციელებულ გლუვი კუნთის მოდუნებასა და ვაზოდილატაციას. თავის ტვინში იგი ააქტიურებს NMDA რეცეპტორს და აპროდუცირებს ნეიროტრანსმიტერს, რომელიც ახორციელებს სასუნთქი სისტემის, საშარდე გზების, გლუვი კუნთებისა და ნაწლავების რელაქსაციას(76). NO-ს სამიზნეა ასევე ცილების შემადგენლობაში არსებული სულფჰიდრილური ჯგუფები, რომლებთან ურთიერთქმედებით წარმოიქმნება ნიტროზოთიოლი. ნიტროზილირებული ჰემოგლობინი ბუნებრივი ტრანსპორტერია, რომელიც ქმნის NO-ს მარაგს. გულის კუნთის უჯრედებში აზოტის ოქსიდი უკავშირდება მემბრანაში არსებული რიანოდინის რეცეპტორის HS- ჯგუფს და იწვევს მის გააქტივებას. ეს უკანასკნელი წარმოადგენს კალციუმის არხს(77). ჭარბი რაოდენობით აზოტის ოქსიდის დაგროვებამ შეიძლება გამოიწვიოს მიტოქონდიის სუნთქვის ჯაჭვის I და IV კომპლექსების ინჰიბირება, რაც თავის მხრივ უჯრედის ენერგეტიკული გამოფიტვის წინაპირობას წარმოადგენს(78). მნიშვნელოვანია აზოტის ოქსიდის როლი ოქსიდაციური სტრესის მიმდინარეობისას. აზოტის ოქსიდი წარმოადგენს ანიონ-რადიკალს, თუმცა მისი ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალი შედარებით სუსტია. სუპეროქსიდური ანიონ-რადიკალის თანაობისას, იგი ჯერ პროქსინიტრიტის რადიკალს, ხოლო შემდგომ ჰიდროქსილის რადიკალს წარმოქმნის. ამ რეაქციის გამო, აზოტის ოქსიდი, რომელიც ფიზიოლოგიურ კონცენტრაციებში ნორმალურ მეტაბოლურ რეაქციებში იღებს მონაწილეობას, მაღალ კონცენტრაციებში ხდება ტოქსიკური და უჯრედული კომპონენტების ნგრევას განაპირობებს. მაგალითად, მაგროფაგები უცხო უჯრედის დესტრუქციას აზოტის ოქსიდით და სუპეროქსიდ-რადიკალით იწვევენ. ამიტომ, აზოტის ოქსიდის დიდი რაოდენობის წარმოსაქმნელად იმუნურ უჯრედებს დამატებითი NO-სინთაზას ინდუცირებადი გენი გააჩნია(79). eNOS მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლძარღვთა ფუნქციის რეგულირებაში. ჭარბი რაოდენობით მის მიერ NO-ს წარმოქმნამ შეიძლება გამოიწვიოს ათეროსკლეროზის განვითარება. დაზიანებულ ენდოთელიუმში ძლიერდება ზეჟანგური ჟანგვის პროცესები, კერძოდ ადგილი აქვს ოქსიდაციური სტრესის ჩამოყალიბებას და LDL-ის ჟანგვით მოდიფიკაციას(80).

1.5.2. კატალაზა

1818 წელს ლუის ჯ. სენარდმა ივარაუდა, რომ მის მიერ ცოცხალ სისტემებში აღმოჩენილი წყალბადის პეროქსიდი (H2O2) უნდა იშლებოდეს რაღაც ნივთიერების

მიერ, მაგრამ მხოლოდ 1900 წელს ოსკარ ლოეუმ დაარქვა აღნიშნულ სუბსტანციას სახელი - კატალაზა და აღმოაჩინა, რომ ის მრავალ მცენარესა და ცხოველში გვხვდება(81). შემდგომში ფერმენტის კვლევისათვის სხვადასხვა მეთოდი იქნა გამოყენებული, რომელთა მეშვეობითაც საბოლოოდ მოხდა მისი დახასიათება(82-85). ჭარბი რეაქციული ჟანგბადის გაუვნებელყოფისთვის უჯრედში ფუნქციონირებს ე.წ. ანტიოქსიდანტური სისტემა. ამ სისტემის ფუნქციონირების შედეგად ადგილი აქვს ოქსიდაციური პროცესების შეფერხებას. ანტიოქსიდანტური სისტემის ფუნქციონირებში ჩართულია მთელი რიგი ფერმენტული და არაფერმენტული, დაბალმოლეკულური ნაერთები, რომლებსაც ანტიოქსიდანტები ეწოდება. ოქსიდაციური და ანტიოქსიდაციური რეაქციების ერთობლივობა ორგანიზმში ქმნის ერთგვარ ფუნქციურ სისტემას, რომლის მოქმედების საბოლოო მიზანია უჯრედის ჰომეოსტაზის შენარჩუნება. უჯრედში არსებული ანტიოქსიდანტური ფერმენტები რამდენიმეა, რომლებიც ქმნიან უჯრედის დაცვის გარკვეულ რგოლს. დაცვითი სისტემის პირველი რგოლი წარმოდგენილია ფერმენტით სუპეროქსიდდისმუტაზა (SOD). სოდ-ის დახმარებით უჯრედში არსებული სუპეროქსიდ რადიკალი ($O2^-$) გადადის ელექტრონეიტრალურ ფორმაში - H2O2, რომელიც შემდგომ ფერმენტ კატალაზას მეშვეობით შესაძლოა გარდაქმნას წყლად (H2O) და თავისუფალ ჟანგბადად (O2). ფერმენტი კატალაზა წარმოადგენს ტეტრამერს და ნანახია თითქმის ყველა ცოცხალ ორგანიზმში. კატალაზა შეიცავს ოთხ პორფირინ-ჰემის (რკინა) ჯგუფს, რაც საშუალებას აძლევს მას შევიდეს რექციაში წყალბადის პეროქსიდთან. იგი გარდაქმნის წყალბადის ზეჟანგს წყლად და მოლეკულურ ჟანგბადად, რისთვისაც იყენებს რკინასა და მაგნიუმს, როგორც კოფაქტორებს. ეუკარიოტულ უჯრედებში ფერმენტი უმეტესად წარმოდგენილია პეროქსისომებში. კატალაზას აქტივობის დაქვეითება იწვევს ოქსიდაციური პროცესების გაძლიერებას(86). ფერმენტის არარსებობისას ვითარდება ისეთი ტიპის აუტოსომურ-რეცესიული დაავადება, როგორიცაა აკატალაზემია(87). დარღვევები, რომლებიც მოქმედებს ფერმენტის აქტივობაზე და მისი მაკოდირებელი გენის ექსპრესიაზე, განაპირობებს ინდივიდთა მგრძნობელობის ზრდას სიმსივნური პროცესებისადმი, დნმ-ის ჟანგვით დაზიანებას და სხვა პათოლოგიურ პროცესებს(88,89) .

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უჯრედის ანტიოქსიდანტური სისტემის სხვადასხვა ინჰიბიტორი, მაგალითად, ჭარბი თავისუფალი რადიკალები (რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ფერმენტების აქტიური ცენტრების დაჟანგვა და შესაბამისად მათი ინაქტივაცია), სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორები (რადიაცია, ტემპერატურის მომატება, pH-ის კრიტიკული ცვლილება, გენეტიკური მასალის დაზიანება და სხვა) უარყოფით ზეგავლენას ახდენს უჯრედის და ზოგადად ცოცხალი სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რაც შესაძლოა დასრულდეს აპოპტოზური და/ან ნეკროზული მექანიზმების გააქტივებით.

თავი 2. მასალა და მეთოდები

2.1 კვლევის ობიექტი და მასალა

ექსპერიმენტებში გამოყენებული იყო 48 არახაზოვანი თეთრი თაგვი (20-25 გ). ცხოველები დაყოფილი იყო ოთხ ჯგუფად:
ციკლოფოსფამიდის ინექცია ხდებოდა ინტრაპერიტონეალურად 350 მგ/კგ-ზე (Artym Jolanta et al. 2004). 7-8 მგ ციკლოფოსფამიდს ვხსნიდით 100 მკლ საინექციო წყალში, ინექციას ვახდენდით ერთჯერადად.

2.2 კაკლის უღლების ექსტრაქტიან ფხვნილის დამზადება

